



გაზეთი გაეშალა
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

მაცნე

სამტრედიის

N6 (9222)

28 თებერვალი, 2017 წელი

ფასი 50 თეთრი



5

ნეთუ მახილდა ფუხთხის ღიხსნი ვახით?
ხყოყ ქვეყნულ წმინლა ანაიუენია?

**მაგონიგანი ლეპუგატი
ლითი ჟიხსიძის
ქოლუქხ ჰვირუქხა...**



3

**ალტერნატიული გზა, მებრეპე
არს სბბლესოს ხარჯხე**

4
სუჰეითასი
სამტხედილაში



2



**წინა ხელისუფლაბა ფიქრობლა,
“ქართული ოცნება” ფიასკოს განიცდილა**

ხათუნა გაგუა სკოლაგდელ დავსეპულებათა გაერთიანების
ღირეპტორად დანიშნა

**ვსხოვრობ
იმ, სადას
ქართული
დრობა
ფრილაბს**



6

**“პრეზიდენტმა
გულუმი ჩამიპრა,
მაკოცა და მიტხრა...”**

8



არ წახვიდეთ ისრაელში!

წინა ხელისუფლება ფიქრობდა, "ქართული ოცნება" ფიასკოს განიცდიდა

6064 ნანობაშვილი

ორშაბათის ტრადიციული თათბირი მუნიციპალიტეტის გამგებელმა პოზიტიურად დაიწყო. ვალერიანე ფიცხვერიამ ხათუნა გაგუას სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორად დანიშნა მიულოცა და იგი საზოგადოებას წარუდგინა.

მოგვიანებით კი ახსნა მიზეზი, თუ რატომ შეკრიბა ასე ერთად ააიპ-ების ხელმძღვანელები: "დღეიდან ყველა ორშაბათის ტრადიციულ თათბირს დაესწრებით. სამტრედიის მუნიციპალიტეტში 23 ააიპ-ია. გვაქვს მიღებული რეკომენდაცია, გავერთიანო ერთგვაროვანი ორგანიზაციები, მაგრამ სამტრედიის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი გამონაკლისია, სადაც არც ააიპ-ები შეერთებულა და არც საკადრო შემცირება მომხდარა. მაგრამ, მომავალ წელს, ვერ აცდებით ოპტიმიზაციას. გაიხად, როცა სამუშაო ადგილები შეიქმნება, ერთგვაროვან ააიპებს გავერთიანებთ. არც ის მიმართა მართებულად, ერთი ააიპ-ის დირექტორს 600 ლარი ჰქონდეს ხელფასი და მეორეს - 1000 ლარი. უნდა შევთანხმდეთ იმაზეც, რომ ააიპ-ები არ უნდა იყოს ბიუჯეტზე ჩამოკიდებული, მზრუნველ ალტერნატიულ შემოსავალზე. არ ვამბობ, რომ მთლიანად დააფინანსოთ, მაგრამ ნაწილობრივ მაინც უნდა უზრუნველყოთ ხარჯები. ვისაც ექნება ამ კუთხით შედეგი, წახალისებულიც ის იქნება.

2 წელზე მეტია, რაც ხელისუფლებაში ვართ, ძალიან ბევრი ნაღმი დაგვხვდა ჩადებული ბიუჯეტის თვალსაზრისით. 2015 წელი დაგვეგეგმეთ ჩვენმა ხელისუფლებამ და 1 მილიონ 300 ათასი ლარით განზარდეთ ბიუჯეტი. წინა ხელისუფლებას ისეთი ვალდებულებები ჰქონდა ადებული, ფიქრობდა, 2014 წელს ხელისუფლებაში მოსული "ქართული ოცნება" ფიასკოს განიცდიდა."

ვალერიანე ფიცხვერიას თქმით, სამტრედიის მუნიციპალიტეტი ერთადერთი მუნიციპალიტეტია, სადაც რეფორმის შედეგად შემცირებები არ განხორციელებულა: "მინდა, გითხრათ, რომ ეს სატრედაზო არ არის. თუმცა, ერთი კაციც არ განთავისუფლებულა შემცირების ფონზე, გველისხმობ 2016-2017 წლებს".

მუნიციპალიტეტის გამგებელმა სოფლებში წარმომადგენლებისგან ინფორმაცია მოისმინა. კერძოდ, ამორტინებულ შენობების შესახებ, რომლებიც ქალაქსა და სოფლებში არა მარტო იერსახეს ამხინჯულებს, არამედ მოსახლეობისთვის საფრთხესაც წარმოადგენენ.

ამ მიმართულებით ყველაზე საგანგაშო მდგომარეობა ქალაქშია. თეგზინ ცა-

გურიას თქმით, კანონში ცვლილება შესატანი: "ყველა ასეთი ობიექტს პარტონი ჰყავს, მათთან ურთიერთობა მარტოვე არ არის, კანონი მათ არ ავალდებულებს უსახური შენობების გაკეთილშობილებას, ჩვენ არ გავგაჩნია ძალა, მათ დაევალებულიყო, უსახური შენობები მოაწესრიგონ".

სოფლებში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლებმა ვალერიანე ფიცხვერიას ყურადღება იმითაც მიიპყრეს, რა პრობლემების წინაშე ადგილობრივი მოსახლეობა დგას. ძირითადად სოციალური თემები წამოიწია, კერძოდ სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის სოციალური დახმარების სიდიდან ამოშლა.

ნიგორზღვის მოსახლეობა განაფხულის მოახლოებასთან ერთად მეწვერსაშიში კერების გააქტიურებას აანონსებს და გამგებელს საქმის კურსში თავიდანვე აყენებს.

ქრის მოსახლეობა ინტერნეტ პროვაიდერებთან შეხვედრას ითხოვს. პრეტენზია აქვთ, პროექტზე უკუიწივს წვდომა ჰქონდეთ. მუნიციპალიტეტის გამგებელი მოითხოვს, რომ უფუნქციო და უპატრონო ობიექტებს გამოუწინდეს პატრონი და ფუნქცია დაუბრუნდეს: "გთხოვთ, რომ კიდევ უფრო გააქტიურდეთ, მოიძიოთ თქვენს ტერიტორიულ ერთე-



ულში უსახური, ფუნქციადეკარგული ობიექტები, დაუკავშირდით მეპატრონეებს, გამოუვყვლით გასაყიდი ობიექტები. ამი ჩვენს ბიუჯეტში შემოსავალს გავზრდით".

ვალერიანე ფიცხვერიამ ქალაქსა და სოფლებში თავის წარმომადგენლებს ქონების მართვის სამსახურის უფროსთან, ნოე ივანიასთან აქტიური კავშირი მოსთხოვა.

ალტერნატიული გზა, მაგრამ არა საბალახოს ხარჯზე

6064 ნანობაშვილი

"მდინარე გუბისწყლის მარცხენა სანაპიროზე გზა არასოდეს ყოფილა. მე ამ სოფელში დავიბადე და გავეზარდე, მაგრამ იქ გზა არ მახსოვს. ხალხი, იანეთელები, თქვენ ვინახავთ იქ საავტომობილო გზა?" - ასე მიმართავდა 23 თებერვალს იანეთის ადმინისტრაციული შე-

ის მსგავსად მდინარე გუბისწყლის მარცხენა სანაპიროზე საავტომობილო გზას ვერც იანეთის მოსახლეობის უმრავლესობა იხსენებს. თუმცა, დღეისათვის ეს არ უნდა იყოს მთავარი, არც იმართვის, ვისაც ახსოვს და არც იმართვის, ვისაც არ ახსოვს. დროებამ მოიტანა საჭიროება, სოფლის საავტომობილო გზა გავუთდეს და მიმეწინაინა ავტომანქანებმა



სიტუაციას ხელისუფლებამ განაწესებული ადამიანები ძაბავენ და მას პოლიტიკური ქულების მოსაპოვებლად იყენებენ.

ჯემალ კობრიძე, იანეთის მკვიდრი: "სოფელში გიჟი უნდა იყოს კაცი, უარი თქვას შემოვლითი გზის მოწყობაზე. ამას წინა ხელისუფლების ნარჩენები აპროტესტებენ. ამით პოლიტიკური ქულების დაწერა უნდათ. ჩვენ მოხარულნი ვართ, ალტერნატიული გზა გავუთდეს და იანეთის ცენტრალური შემოსავლელი გარემონტდეს".

პროცესებში უკეთ გარკვევის მიზნით, 23 თებერვალს, იანეთში მოსახლეობასთან შეხვედრაზე მყოფმა მაჟორიტარმა დეპუტატმა ორივე მხარის პოზიცია მოისმინა და საკუთარი დასკვნებიც გამოიტანა. გაჩინდა კითხვებზე პასუხის გასაცემად გრიგოლ მიქელაძემ ინერტული მასალის ამოღების ინჟინერი დავით გეგუჩაძეც მოიხმო.

გრიგოლ მიქელაძე, საქართველოს პარ-

ლამენტის წევრი: "მეგონა, ყველაფერი მოგვარებული იყო. დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ შევთანხმდით, რომ მდინარე გუბისწყლის მარცხენა სანაპიროზე ალტერნატიული გზა გავუთდეს და მიმეწინაინა მანქანები იქიდან იმოძრავენ. გავითვალისწინეთ მოსახლეობის აზრიც: გზა გაუართოვდება მდინარის სანაპიროს მოწყობით და არა საბალახოს ხარჯზე. ამით ორივე მხარის ინტერესი იქნა გათვალისწინებული". მათი გასაჭირის განხილვის გამო იანეთის მოსახლეობა გრიგოლ მიქელაძეს იმ დღესაც მადლიერებას უმჟღავნებდა. საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის, ალექსანდრე ჯვარციანიშვილის თქმით, სოფელს მიქელაძის სახით ძლივს ეღიროსა დეპუტატი, რომელიც ხალხზე ფიქრობს.

იანეთის მოსახლეობასთან შეხვედრა კომპრომისით დასრულდა. გადაწყვეტილება ადგილობრივების სასარგებლოდ იქნა მიღებული. შეთანხმდნენ, რომ ალტერნატიული გზა აუცილებლად გავუთდეს, იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობას არც საყინე ფართობამდე მისვლა გაუჭირდეს და მოძრაობა მიმეწინაინა ავტომანქანების გადაადგილებამ გლეხობას საძოვარი არ დაუზიანოს.



ნობის წინ თავმოყრილ თანასოფელელებს ალექსანდრე ჯვარციანიშვილი. "რაჭა ჩემი სიყვარული" - პოპულარული ქართული ფილმის პერსონაჟების

იანეთი-დიდი ჯიხაში-ხონის შიდა სახელმწიფოებრივი გზით ადარ იმოძრაონ. ორივე კვირის წინ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის კაბინეტში

ხელისუფლებას წარმოადგენდა ტოლერანს თანხ უსტუმრან

ნათია ნაცვლიძე

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტის ფარგლებში სოფელ ტოლერანში მისასვლელი გზის (სიგრძით 4,3 კოლომეტრი) სარეაბილიტაციო სამუშაოები. სამუშაოს სახელმძღვანელო დირექტორად დაინიშნა შიდასახელმწიფოებრივი გზების მსახურის დირექტორი, რომელიც დაინიშნა 1 989 000 ლარს. მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერიანე ფიცხვერიამ, გამგებლის მოადგილე დავით ბახტაძემ და ადგილობრივი თემის მმართველობის სხვა ხელმძღვანელებმა პირებმა პროექტის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს, რაც გზებზე არსებული ხიდბოგირების რეაბილიტაციას ითვალ-

ისწინებდა. ვალერიანე ფიცხვერია: "ეს პროექტი გასული წლის ზაფხულში დაიწყო და წლეულს დასრულდება, უთის გზასთან. ხარისხის მაქსიმალური დაცვით ხორციელდება სამუშაოები და ეს ძალიან სასიხარულოა."



ამ სამუშაოებს ძალიან კარგად ასრულებს ტენდერში გამარჯვებული, საკმაოდ გამოცდილი კომპანია, სააქციო საზოგადოება "არქეოპოლისი". ასფალტბეტონის საფარი დაიგო, ხიდბოგირები მოწესრიგდა, ეს გზა დამაკავშირებელია სამტრედია-ჩოხატაურის გზისა სამტრედია-ლანჩხ-

ტოლების თემში ხელისუფლების წარმომადგენელთა სტუმრობის ერთ-ერთი მიზეზი საბავშვო ბაღის შექმნის უზრუნველყოფა იყო. მუნიციპალიტეტში მოხდა ხეების გადამღება, 4 კუბური მეტრი საშემე მერქანი ტოლების საბავშვო ბაღის მიწადა. ბაღში სულ 25 ალსაზრდელია.

ტოლების საბავშვო ბაღის მმართველი, ციცო კოკელაძე: "როგორც კი შევატყობინეთ სოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას და საკრებულოს წევრს ილია მჭავიას, რომ გვეჭირდებოდა შემა, მათმა რე-

აგირებამ არ დააყოვნა. ბატონი ილია ჩვენი დიდი მხარდამჭერია, მან ჩვენს ბაღს საწუქრად გადასცა პიანინო, საკუთარი ოჯახიდან გამოიტანა და მოგვცა, ასევე მოგვამარაგა შემოთავაზ, მადლობა ყველას, ვინც დაგვეხმარა."

სოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ხათუნა გაგუა: "ჩვენს მუნიციპალიტეტში ხდება ბაღების საშემე მერქნით უზრუნველყოფა, უნდა აღინიშნოს, რომ ილია მჭავია, რომელ-



იც არის ტოლების თემის მაჟორიტარი დეპუტატი, საკრებულოს წევრი, არაერთხელ დახმარებია ამ ბაღს, ამჯერადაც დაეხმარა შექმნის მმართველს."



მაგნიტიკარი ლუპატი ღილი ჯიხაშის ყოფილი ჰიბრიდი...

6060 წამოწმისი

გრიგოლ მიქელაძე დიდი ჯიხაშის კოლეჯით სისტემატურად ინტერესდებოდა. ნუგზარ მიქაძესთან მას არაერთხელ უსაუბრია იმ პრობლემებზე, რაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტის დიდი ჯიხაშის ნიკო ნაგოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიულ კოლეჯს ამჟამად აქვს.

სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით საქართველოს პარლამენტში სამტრედიის მაგორიტარი დეპუტატი 23 თებერვალს დიდ ჯიხაშში ჩაივინა, პირდაპირ კოლეჯს მიაშურა და გულახდილი შეხვედრები გამართა სასწავლებლის ხელმძღვანელებთან, პედაგოგებთან. განსაკუთრებით საინტერესო გამოვიდა სტუდენტებთან გასაუბრება.

გრიგოლ მიქელაძე კეთილად გააკვირვა კოლეჯში მიღებულმა ინფორმაციამ, რომ სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალობის, მედიკალური, ტრაქტორის მემქნანის, აგრარული ტექნიკის მექანიკოსის და ვეტერინარის სპეციალობებზე მისაღებად ახალგაზრდები და მეტიც, შუახანშიბანებული ადამიანები საქართველოს სხვადასხვა კუ-

თხიდან არიან ჩამოსული. მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც სხვა სპეციალობით უმაღლესი განათლება გააჩნიათ. პარლამენტარი კმაყოფილი დარჩა, როცა მან თბილისელი 18 წლის ახალ-

მე-2 სპეციალობის მისაღებად კვლავ დიდი ჯიხაშის კოლეჯს მოვაშურე, რადგან აქ საუკეთესო სპეციალისტები ასწავლიან, გამომართლა, რომ ჩვენი პედაგოგები არიან შუქრი სილაგაძე, ლელა



გაზრდა თემიურაზ ანდლულაძე გაიცნო, რომელსაც, თავისი პატარა ასაკის მიუხედავად, არჩეული პროფესიის დასაბუთებული მოტივაცია გააჩნია.

საინტერესოდ წარმართა წარმატებული ბიზნესმენისა და ხელოვანი ჯემალ მახარაძის დიალოგი. გრიგოლ მიქელაძის გასაოცრად, 20 წლის ჯემალს ერთი პროფესია უკვე მიღებული აქვს და ჩათვალა, რომ საკუთარი ბიზნესის დასაწყებად აუცილებელი იყო მეორე სპეციალობის, კერძოდ, ვეტერინარის პროგრამის შესწავლა.

ჯემალ მახარაძე: "დიდი ჯიხაშის კოლეჯში სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალობა შარშან მივიღე. სხვა ტექნოლოგიურ პროცესებთან ერთად შევისწავლე რძისა და რძის პროდუქტების გადამამუშავების ტექნოლოგია. საწარმოო პრაქტიკებზე ყოფნის დროს მომიხდა საკუთარი ბიზნესის დაწყება ფელის წარმოების დარგში. სოფელში, სადაც მე ვცხოვრობ, 1000-მდე მქსველი ფურია. ფერმერული მეურნეობის გასამართად კი აუცილებელი იყო ვეტერინარული განათლების მიღება. ამიტომ

ადეიშვილი და დავით ალფაიძე".

42 წლის ელისო მელქაძე ზესტაფონელია. დიდი ჯიხაშის კოლეჯის შესახებ ინფორმაცია ინტერნეტით მოიპოვა და იმ ადამიანების აზრით გაითვალისწინა, ვისაც ეს კოლეჯი სხვადასხვა წლებში დაუმთავრებია: "დიდი ხნიდან მაქვს სურვილი, გავხსნა ვეტუფთიაქი. ოჯახის წევრებიც ხელს მიწყოფენ ჩემი მიზნის განხორციელებაში. ერთადერთი ხელისშემშლელი მიზეზი ის იყო, რომ არ მქონდა კვალიფიციური ცოდნა ვეტერინარიაში, რამაც გადაამწყვეტინა, სწავლა დამეწყო ისეთ ავტორიტეტულ სასწავლებელში, როგორცაა დიდი ჯიხაშის კოლეჯი. ეს არ იყო იოლი არჩევანი, უკვე 4 ათეული წლის ვარ, მყავს ოჯახი, შეილება, ყოველდღიური პრობლემები, ასე რომ ვიქცა, ქალის ტვირთი, მაგრამ როცა ჩემი თანაკურსელი ქეთისელი 6 შვილის დედა ახერხებს ლექციებზე სიარულს და ცოდნის მიღებას, ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ არ ჩამოვრჩე მას და არც სხვა თანაკურსელებს".

ელისო არ ტყუის, ამ კოლეჯის პე-

დაგოები მას დადებითად ახასიათებენ, არც იმაში ტყუის, რომ დიდ ჯიხაშში სასწავლებლად სტუდენტები თითქმის მთელი საქართველოდან სწავლობენ. მაგალითად, ქუთაისიდან, სამეგრელოდან, აჭარისიდან, ლეჩხუმიდან, სვანეთიდან, ქართლიდან, და ა. შ.

ნუგზარ მიქაძეს ეს მომენტი სიამაყის განცდას უჩენს, თუმცა აქვე გულისტკივილით დასძენს: "ახალგაზრდებმა, რომლებმაც არჩიეს ჩვენი სასწავლებელი, დარეგისტრირდნენ, ჩააბარეს გამოცდები, სწავლობენ სახელმწიფო დაფინანსებით, მაგრამ მათგან ზოგიერთი ნა-

ქტორატი კეთილგანწყობილია დიდი ჯიხაშის კოლეჯის მიმართ. სურვილი აქვთ, რაც შეიძლება სწრაფად დაიწყონ სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც სოლიდურ თანხასთან არის დაკავშირებული. იმედინად ვართ განწყობილები. განსაკუთრებით ახლა, როცა მაგორიტარი დეპუტატი დაინტერესდა ჩვენი, კმაყოფილი დარჩა სტუდენტებთან შეხვედრით ბრწყინვალედ იცის ჩვენი სასწავლებლის ისტორია, განვლილი გზა, ტრადიციები, ფრენბურთული ქალთა გუნდ "ჯიგოს" მიღწევები; იმედი გვაქვს, სიტყვის წაშვლებას უმაღლეს საყარონ-



კლებ ინტერესს იჩენს სასწავლო პროცესის მიმართ. იმ დროს, როცა ბევრი მოწადინებული აბიტურიენტი მათ გამოკონურსს გარეთ დარჩა და ბოლომდე ვერ გაუცნობიერებიათ, რომ ისინი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები არიან.

კოლეჯში სტუმრობამ გრიგოლ მიქელაძე დაარწმუნა, რომ სასწავლებელში სწავლა უფრო მიმზიდველი და ეფექტური იქნებოდა, თუკი სასწავლებელი დააკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს. თუმცა რა თანამედროვე მოთხოვნებზეა საუბარი, კოლეჯის შერობა საგანგაშო მდგომარეობაშია. იგი სასწრაფოდ მოითხოვს რეაბილიტაციას და სასწავლო პირობების გაუმჯობესებას. "საქართველოს უნივერსიტეტის რე-

დებლო დონეზე არ დაიშურებს, რისთვისაც დიდ მადლობას წინასწარ ვუხდით".

გრიგოლ მიქელაძე კოლეჯის სპორტულ დარბაზში შევიდა, სადაც საქართველოს 10-გზის ჩემპიონი გუნდი "ჯიგო" ვარჯიშობს. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დეპუტატმა საკუთარი თვალთ ნახა სპორტული დარბაზის ინტერიერი, დანიანებული ჭერი და იატაკი, ჩამსხვრეული მინები, სიცივე და გაუმართავი სპორტული ინფრასტრუქტურა.

პარლამენტის წევრმა დიდი ჯიხაშის კოლეჯის ხელმძღვანელებას პირობა მისცა, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ამ ბაზაზე მომავალში შეიქმნას ევროპული დონის რეგიონალური პროფესიული განათლების კერა.

მუნიციპალიტეტის გაბეგბელი სააღმზრდელო დაფინანსება

6000 წამოწმისი

რამდენიმე სკოლამდელი დაწესებულება მონახულეს და შესრულებული სამუშაოები დათვალიერეს მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერიანე ფიცხვერიამ, გამგებლის პირველმა მოადგილემ, დავით ბახტაძემ, ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელმა, ზურაბ გოვიამ, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა, ხათუნა გაგუამ და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებმა. 19787 ლარის სამუშაოები საბავშვო ბაღებში ტენდერში გამარჯვებულმა ინდემ წარმე მითროფანე მიქაძემ შეასრულა. რამდენიმე საბავშვო ბაღში მოხდა შენობის გადასურვა, დაიდგა საკვამური მილები, ჩაისვა მეტალოპლასტმასის კარი, მინები, მოწესრიგდა სველი წერტილები, გამოიცვალა კანალიზაციის მილები, დამონტაჟდა წყლის ტუმბო და სხვა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა მონახულეს მე-9 (მმართველი ნანა უგულავა), მე-10 (მმართველი ქეთევან შამიაშვილი), მე-11 (მმართველი გოგოლა კარტოზია), მე-5 (მმართველი მია ჯღამაძე), მე-2 (მმართველი ინგა კვერნაძე) საბავშვო ბაღები. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების წარმომადგენლებს თან ახლდა ტექნიკური ზედამხედველი მერაბ ვაშაიძე. ჩვენს შეკითხვაზე, თუ რამდენად კმაყოფილია შესრულებული სამუშაოებით, ვალერიანე ფიცხვერიამ გვიპასუხა:



“ჩვენი პრიორიტეტია საბავშვო ბაღებზე და მის აღსაზრდელებზე ზრუნვა. რაც შეეხება შესრულებულ სამუშაოებს, კმაყოფილი არ ვარ, არ არის იმ დონის, ელემენტარულ ნორმებს რომ აკმაყოფილებდეს და ვერ მოვიწონებთ. ეტ-

ყობა, მიდგომა შესაცვლელი, მშენებლებსაც სხვანაირად უნდა მოვთხოვოთ პასუხი და პროექტის ავტორებსაც. ასეთი ობიექტები არ უნდა იქნეს მიღებული და ჩაბარებული. ჩვენ ჩავერთვებით უფრო აქტიურად ამ საქმეში და ვაცხადებთ, რაც უხარისხია, ის უნდა გამოიწეროს.”

ხათუნა გაგუა სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორად დაინიშნა

ამ დღეებში საკადრო ცვლილება განხორციელდა სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში. მუნიციპალიტეტის გამგებლის, ვალერიანე ფიცხვერიას № 37-212 ბრძანების საფუძველზე 21 თებერვლიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის თანამდებობაზე ხათუნა გაგუა დაინიშნა. აღნიშნულ პოზიციას 2014 წლის 1 აგვისტოდან ხათუნა ახობაძე იკავებდა. იგი 21 თებერვლიდან ახალ სამსახურში, თბილისის, 123-ე ბაგ-ბაღში დირექტორის თანამდებობაზე საქმიანობას შეუდგა.

ხათუნა გაგუა 1973 წლის 13 ივლისს სამტრედიის დაბადა, დაამთავრა ყოფილი მე-14 საშუალო სკოლა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1996 წლიდან მუშაობდა ყოფილ მე-13 საშუალო სკოლაში ისტორიის პედაგოგად. ისტორიას ასწავლიდა სკოლა "ცოდნაში", 2004 წელს დაინიშნა მე-9 ბაგ-ბაღის გამგედ, სადაც 2009 წლამდე მუშაობდა.



ხათუნა გაგუა 2015 წლიდან საჯარო მოხელეთა შესარჩევი კონკურსის საფუძველზე ქალაქის ტერიტორიულ ერთეულში სპეციალისტად დაინიშნა. 2016 წლის 22 აპრილს ხათუნა გაგუა სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოადგილედ დაინიშნა, სადაც დღემდე მოღვაწეობდა.

ხათუნა გაგუას უახლოეს პერსპექტივაში აქვს: ბაგ-ბაღებში, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგებლის დახმარებით, ინფრასტრუქტურა მოაწესრიგონ, გააუმჯობესონ სასწავლო პროცესი, იმოქმედონ იმ სტანდარტებით, რომელიც 2017 წლის პირველი აპრილიდან ძალაში შედის.

ხათუნა გაგუა, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი: "მინდა, გითხრა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტში არსებულ 23 ბაგ-ბაღში ინფრასტრუქტურის კუთხით სახარბიელო მდგომარეობა არ გვაქვს. ამ კუთხით მეტ-ნაკლები პრობლემებია. რამდენიმე საბავშვო ბაღი სოლიდურ სარემონტო სამუშაოს ჩატარებას მოითხოვს. ადგილობრივი ხელმძღვანელობა მაქსიმალურად არის დაინტერესებული, ბაგ-ბაღებს საყოფაცხოვრებო პირობები გაუმჯობესოს. რაც შეეხება სასწავლო პროცესს, ამ მიმართულებით ჩვენს მუნიციპალიტეტში პრობლემა არსად გვაქვს."

6060 წამოწმისი

ვსსოპრობ იმ, სადას ქართული

თბილისი გაგზავნილი

ჯერ ერთი, ძალიან მოგვნატრება. მისი ამერიკული წარმატებები სოციალური ქსელის წყალობით უცხო არ იყო. თუმცა, საქართველოში საქმიანი ვიზიტით ვისარგებლეთ და რედაქციაში ვისტუმრეთ. შოთა შუბლაძესთან ვრცელი ინტერვიუ მისი კარგად მოსაუბრეობის და მიღწევების დამსახურებაა.

გახდეთ წარმატებული უცხო ქვეყანაში, ადვილი არ არის, მით უმეტეს, როცა ეს ინტელექტუალური სფეროს განეკუთვნება. მონდომება და შრომისმოყვარეობა შეატყვევებს და ამერიკელმა მეგობრებმა კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის დასრულებასა და გავრძელებაში ხელი თავადაც შეუწვევს.

ის პროექტი, რომლის განხორციელებაც ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ უკვე დაიწყო, საქართველოში მხოლოდ იმიტომ ჩამოვიდა, რომ შოთა შუბლაძე ქართველია! ამის შანსს ჩემს ქვეყანას ვერ დავუკარგავდიო, აღნიშნა პროექტის ხელმძღვანელმა და მის სოლიდურობასა და მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. იგი ქართველი სპეციალისტების ამერიკის შეერთებულ შტატებში გადამზადებას ვულისხმობს და არა მხოლოდ გააუმჯობესებს, არამედ სწორად წარმართავს დამოკიდებულებასა და ურთიერთობებს ბავშვებზე და ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად. შეხვედრა სამტრედიის მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციასთანაც ჰქონდა “გლობალური ალიანსი ჯანსაღი გარემოსათვის” პროგრამების ხელმძღვანელს. არასამთავრობო სექტორის გაძლიერება მას დემოკრატიის სწორად განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპად მიაჩნია.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ძველი მეგობარი რესპონდენტად მოვიწვიეთ საქმიანი და არა მხოლოდ საქმიანი საუბრისთვის. რამდენიმე კითხვაზე პასუხით ოკეანის გაღმა მცხოვრები ახალგაზრდა ოჯახის ქართულ-ამერიკულ ყოველდღიურობაზეც ვისაუბრეთ.

– 2008 წლის ოქტომბრიდან უკვე საქართველოში აღარ ვსაქმიანობ. რამდენიმე მოკლე ვიზიტით ვიყავი მას შემდეგ ჩამოსული, თუმცა, ბოლო შვიდი წელია, სამშობლოში არ ვყოფილვარ. თავდაპირველად, როგორც საკრებულოს დეპუტატი, სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროგრამით, გახლდით კალიფორნიის შტატში. მას შემდეგ იქაური კონტაქტები შევინარჩუნე. ჰერბ გრო, კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოშიც მყავდა ჩამოყვანილი. საბოლოოდ, ამერიკაში კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული არასამთავრობო ორგანიზაციების მართვის სასერტიფიკატო პროგრამის გასაველად წავედი. მისი წარმატებით გავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს მაგისტრის კურსზე სწავლის შესაძლებლობას მძლევედა. მართალია, კურსის გავლის ფინანსური საშუალება არ მქონდა, მაგრამ ჰერბ გრო დახმარებდა, რომ იქ დავსაქმებულყავი. საკუთარ თავზე საუბარი უხერხულია, თუმცა, მაინც უნდა გითხრა, რომ როგორც აქტიურსა და მონდომებულს, გადასახადის დაბალი კურსი დამიწესეს და მის გადასახდელად უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტის თანამშრომელ დამსაქმეს. ე.წ. მასტერის გავლის შემდეგ დოქტორანტურა დავამთავრე საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვის მიმართულებით. უკვე თითქმის დავასრულე დისერტაციაზე მუშაობა. ვარ ვარ ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი საზოგადოებისა და სახელმწიფო მართვის მიმართულებით.

– ამჯერად საქმიანი ვიზიტით ხარ საქართველოში?
– გარდა იმისა, რომ სამშობლო

და ოჯახი მომენატრა, საქმიანი ვიზიტით ვარ ჩამოსული. ორგანიზაციაში “გლობალური ალიანსი ჯანსაღი გარემოსთვის” პროგრამების ხელმძღვანელი ვარ. ამჯერად საქართველოში განხორციელებული პროგრამის, რომლითაც იმ სახელმწიფოებრივი სისტემების, ბავშვებსა და ოჯახური ძალადობის საკითხებზე რომ უნდა იმუშაონ, ეფექტურობა უნდა გაზარდოს. ჩვენი ორგანიზაცია ამზადებს პროფესიონალ კადრებს სხვადასხვა უწყებებიდან. ახდენს პოლიციელების, მოსამართლეების, ექიმების, სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების, აგრეთვე, ბავშვთა ინტერვიუერების გადამზადებას, რადგან, როცა რაიმე ხდება, ბავშვთან მხოლოდ



შესაბამისად მომზადებული ადამიანი უნდა მივიღო ინტერვიუს ასაღებად. ვახდენთ არა მხოლოდ მათ აკადემიურ გადამზადებას, არამედ, სურვილი მაქვს, აქაური პროფესიონალები ამერიკაში წავიყვანო და შესაბამის სტრუქტურებში, დაახლოებით, სამი თვის განმავლობაში და-

საქმდნენ ამერიკელი პროფესიონალების გვერდით. რათა გაეცნონ მათი მუშაობის რიტმსა და ხარისხს და შემდეგ ეს ჩვენს ქვეყანაში განახორციელონ. აქ საუბარია მოქმედ, უკვე დასაქმებულ კადრზე. სხვადასხვა სამინისტროებში სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელებთან უკვე

გვექონდა ამაზე საუბარი. მთავარია, პროექტი დაიძრას ქვეყანაში და მისი მოსალოდნელი შედეგი იქნება ის, რომ დაახლოებით სამ წელიწადში, მინიმუმ, მთელ ადმოსავლეთ ევროპაში, საქართველოს ექნება ყველაზე ეფექტური და მოქნილი სისტემა ბავშვებზე და ოჯახურ ძალადობაზე საპასუხოდ.

– როგორი დატოვებ და რამდენად თვალმისაცემია ცვლილებები საქართველოში ამ შვიდი თუ ათი წლის განმავლობაში?
– მიუხედავად იმისა, რომ შორს ვართ ქვეყნიდან, 21-ე საუკუნეა და ყველა სიახლეს ვიგებთ საქართველოზე, შეიძლება ითქვას, რომ მის მაჯისცემაზე გვიდევს ხელი. რომ ვყოფილიყავი ძველ დროში და, ვთქვით, როგორც ლევილი მცხოვრებთ, წლები არაფერი მსმენოდა საქართველოზე, მეტი შოკი მექნებოდა. რა თქმა უნდა, სამშობლოში ჩამოსვლა სხვა განცდაა, მაგრამ ისეთი სიახლე, რომ არ მცოდნოდა, თითქმის არაფერი. თუმცა ბევრი რამ სასიყვარულო შეცვლილია, წინ წაწეულია. განსაკუთრებით მომწონს და ამას ვერ დავმალავ, რომ ადამიანებს შიშის განცდა არ აქვთ. ვფიქრობ, ეს ძალიან დიდი მონაპოვარია. მაგრამ აქვე ისიც, რომ სხვა არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. თუმცა, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ სასიამოვნოდ გაკვირვებელი დავრჩი, იმდენ კარგ და ნათელ სახეს

ბების სურვილი, მაგრამ შედეგებზე ორიენტირებული თუ ვიქნებით, ჯერ იგი მიღწეული ისევ არ არის. ჩემი ადამიანური აზრია, რომ, რადგან წელა დგება შედეგი, რაღაც საფეხურზე ეფექტურობის გაზრდაა საჭირო. ვერ გავაკეთებ პოლიტიკურად ანგაჟირებულ განცხადებას. ამერიკაში როგორც პროფესიონალი ჩამოვყალიბდი და პირველ რიგში ვისწავლე, რომ თუ რამე არ იცი, არაა სირცხვილი თქვა, რომ მე ეს არ ვიცი! თუმცა, ჩემი სპეციალობიდან გამომდინარე ვვარაუდობ, რომ რაღაც დონეზე ამ კუთხით ეფექტურობა გასაზრდელია.

– ადგილობრივი გამგეობა, გველისხმობს საშტატო შემადგენლობას, ისეთი დაგვიდა ალბათ, როგორც დატოვებ. აქ და არა მხოლოდ აქ, სამტრედიის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სარბიულზე კვლავ ძველი კადრებია და ისინი მოდასავით ბრუნდებიან. ერთი სიტყვით, სახეები არ იცვლება, პოლიტიკური შეხედულებები კი, ვინ მოსთვლის – მერამდენედ.

– ეს ალბათ, იმიტომ, რომ სამტრედიის პატარა რაიონია. ამ სახეების მნიშვნელოვან ცვლილებას არც ველოდები. შეიძლება, შეხედულებები იცვლება, მაგრამ ეს ხალხი, რომლებიც გარკვეულ უწყებებში ნამუშევრები არიან, იციან, როგორ იმუშაონ, უკვე სახელმწიფო მოხელეებად ჩამოყალიბდნენ. მათი დროის და გამოცდილების ინვესტიცია ჩადებულია და არც არის აუცილებელი მათი შეცვლა. ცვლილება შეიძლება, მისაღები იყოს არჩევითი ორგანოების დონეზე. დასავლეთში, როცა პირველი კაცი იცვლება, არ ნიშნავს, რომ დამლაგებლამდე ყველა შეიცვალოს. დანარჩენები რჩებიან და მუშაობენ თავიანთ პოზიციებზე, თუ თვითონ არ მოისურვებენ სამსახურიდან წასვლას. პროფესიონალის დონეზე ხშირი ცვლილება სულაც არ არის მისაღები, რადგან ახალმა კადრმა თავიდან უნდა ისწავლოს დასაქმების შემდეგ.

რაც შეეხება სამტრედიის გამგეობას, აქაურობა ჩემი ოჯახითაა. ჯერ ერთი, კარგა ხანი თავად ვიყავი აქ დასაქმებული. ახლანდელი გამგებელი, ვალერი ფოცხვერია ჩემი მეგობარია, წლები გვაკავშირებს ერთმანეთთან. ვიცი, რომ რაიონს გაუმართლა, იმდენად პატიოსანი და კეთილსინდისიერი პატრიოტი ხელმძღვანელობს. იქნებ, სუბიექტური ვარ, მაგრამ ასეთი ადამიანი ყოველდღე ვერ შეგვხვდება ცხოვრებაში.

– მეგობრობა, ალბათ, მაშინ დაიწყო, როცა პოლიტიკურად სხვადასხვა ფლანგზე იდგით, შენ მოქცავშირელი იყავი, ბატონი ვალერი კი მაშინ ედა-ელი იყო...
– დიას, პოლიტიკური შეხედულებების სხვადასხვაობის მიუხედავად, მეგობრობა შედგა.

– დღეს საით მიდის შენი პოლიტიკური შეხედულებები?
– სიმართლე გითხრა, დღეს სრულიად აპოლიტიკური ადამიანი ვარ. მოქცავშირელი აღარ ვიყავი ჯერ კიდევ “მოქალაქეთა კავშირის” ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში. გემასხოვრება, რომ 2002 წელს ახალგაზრდული ენთუზიზმით ქალაქის მერის არჩევნებში გადავწყვიტე

შეხვედი საქართველოს მთავრობაში. საუბარი მაღალ პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე მაქვს. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, ამდენად კარგს, მართალი გითხრა, არ ველოდი. თუმცა ქვეუწყებრივ დონეზე, ვფიქრობ მეტი პროფესიონალიზმია საჭირო, რომ ის პოლიტიკური ნება, რაც სახელმწიფოს აქვს, განხორციელდეს. მაგრამ ერთია სურვილი და მეორეა მისი განხორციელების პროფესიონალური შესაძლებლობები.

– გინდა თქვა, ქვეუწყებრივ დონეზე კადრების კვალიფიკაციის იმდენად ნაკლებობაა, რომ გარკვეული რეფორმების გატარება ექნელებათ?
– რამდენიმე დღეა ჩამოსული ვარ და ასე ხელაღებით ვერ ვისაუბრებ ამაზე, არ ვიცი, ჰყავთ თუ არა კვალიფიციური კადრები. არის სახელმწიფოებრივი ნება, სურვილი, ენთუზიზმი და მონდომება, ცვლილე-

“დიდგორით დიდი გული აქვს ქართელს”

ნათია ნაცვლიძე

1990 წლის ივლისია, ეროვნული მოძრაობა პეიჯ აქციებს, პატრიოტული იდეებით ანიჭებულ სამტრედიას უწმინდესი და უნეტერესი, ილია მეორე სტუმრობს. პატრიარქმა აყურთხა ადგილი, სადაც მართლმადიდებლური ტაძარი უნდა აშენდეს და შეკრებილი ჰქონოდა, ვის სახელზე უნდა აშენებულიყო იგი. ერთხმად იყო პასუხი: ილია მართლის! პატრიარქი მცირე ხანს დადუმდა, მერე შეკრებილი მიმართა: ჩემი ძროხა, ერის დიდი სირცხვილია, რომ ქვეყანაში არ დგას ყველაზე დიდი ქართველის და ხელმწიფის სახელობის ტაძარი. ეს ისტორია ახლა სიამაყით გაიხსენა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელმა, ჯონი ნადირაძემ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ახალგაზრდული პარლამენტის ღონისძიებაზე. ღონისძიება დავით მეორის ხსოვნას მიეძღვნა. ტაძარი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლიდან ერთი ხელის ვაჭვადგენაზეა. სიმბოლოურია, რომ ამ სახლის დარბაზში შესანიშნავად გააცოცხლეს უდიდესი ეპოქა, რომელიც დავითმა შექმნა. ეროვნული მოძრაობის წლებში მხატვარ ვახტანგ დიდიძის მიერ შექმნილი დავითის პორტრეტი, რომელიც შექმნა ხატად მხატვარმა ელიზბა ახობაძემ აქცია, დარბაზს ამშვენებდა.

ელეონორის ხელმძღვანელობით, მოსწავლეთა პარლამენტის წევრებმა, რომლებიც სკოლა “ცოდნის”, 1-ლი, მე-4, მე-6, მე-10, მე-12, დაბლა გომის სკოლის მოსწავლეთა არიან, შესანიშნავი ღონისძიება მიუძღვნეს დავითის მეფობის ხანას. ეპოქას შევისა, რომლის ტახტზე ასევე მზის ამოსვლის ტოლფასი იყო გავერანებული და დაქცეული ქართული მონარქიისათვის. მიმოიხილეს დავითის მიერ გატარებული რეფორმები. თუ როგორ შეძლო მეფემ უმძიმესი ამოცანების გადაჭრა: აშლილი ქვეყნის აღორძინება, დიდ ფეოდალთა სეპარატისტული მისწრაფებების აღაგმვა, თურქ-სელჩუკთა განდევნა, ქართული მიწა-წყლის საბოლოო გაერთიანება, ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა, მსტოვართა (მეთვალთვალეთა, მზვერეთა) ინსტიტუტის შექმნა, ძლიერი საპოლიტიკო აპარატის შექმნა, რომელსაც სათავეში მანდატურთუხუცესი ედგა, სამხედრო რეფორმა, ლაშქრის რეორგანიზაცია, სამეფოს სამხედრო ძლიერების ზრდა. ემოციურად წაყითხეს დავით მეფესადმი მიძღვნილი ქართველ პოეტთა ბრწყინვალე ლექსები. განსაკუთრებულად დიდგორის სწორუკუთარი გამარჯვება გაიხსენეს, როცა “ჩახერგეთ გზები უკან დასახვევით!” ბრძანა მეფემ და დიდგორის ველზე დაბანაკებულმა ქართულმა ლაშქარმა – რიცხოვნობით სამჯერ მეტ მტერს სძლია. ითქვა დავითის ქველმოქმედებაზე, როგორ დადიოდა მის მიერ აშენებულ ქსენონებში და თავად უკლიდა და ვრდიდებდა. როგორ არ გაუგდია ხელიდან წიგნი ლაშქრობების დროსაც და წელიწადში 24-ჯერ კითხულობდა “სამოციქულოს”, მომავალ თაობას კი დაუტოვა განათლებისა და მეცნიერების უდიდესი კერა – გელათის აკადემია.



დავითის შესანიშნავი პოეტური ქმნილებიდან “გალობანი სინაულისანი” ნაწილები ვახტანგ ნიკოლეიშვილმა წაიკითხა. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგმა ნატა ვიქიამ წარმოგიდგინა უნიკალური ფოტომასალა, კერძოდ, 1902 წელს ქართველ მეცნიერთა, ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიერ სინას მთაზე მოპოვებული დავითის ხელნაწერი. მოსწავლეებს შრომა შეუქი და საინტერესო ღონისძიების მოწყობის გამო მადლობა გადაუხადა ჯონი ნადირაძემ.

“სამტრედიის მაცნეს” პასუხისმგებელმა მდივანმა, ლევან გაბუჩავამ აღნიშნა: “ძალიან კარგი ღონისძიებაა, როგორც მოსწავლეთა გეგმობით, შესანიშნავად გამოიყენა ერთი 9 საუკუნის წინანდელ საქართველოში. თქვენ აღნიშნეთ, რომ დავითი ორშაბათობით დებულობდა მოქალაქეებს, სწორედ იმ ეპოქიდან დაედო სათავე იმას, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები მოქალაქეებს ორშაბათობით დებულობენ, რომ საუკეთესო მოსწავლეებს უცხოეთში აგზავნიან სასწავლებლად და სხვა... ვწუხვარ იმ ადამიანთა გამო, ვინც დღეს აქ არ არის და თქვენი ნაშრომის შეფასებას ვერ ახერხებს.”

პედაგოგებსა და მოსწავლეებს ასევე მადლობა გადაუხადა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა, ტატა გოგუაძემ და მომავალ საინტერესო ღონისძიებამდე დაგეგმუებულმა.

“საიზიდახში ბანასუდი სინაუდი”

“სოფელო ჩემო, მსურს ვიყო ღირსი გულზე დაყრილი შენი მიწისა.”

ნათია ნაცვლიძე

ამ რამდენიმე წლის წინათ, პოეზიის მოყვარული ქართველი საზოგადოების წინაშე შესანიშნავი ლექსთა კრებული “ჩემო ჯიხაში” წარსდგა ცნობილი ქართველი პოეტი, ჩვენი რაიონის მკვიდრი, ქალბატონი ზოია ვაშაყიძე. სამწუხაროდ, წერილის ავტორისთვის იგი ხელმისაწვდომი მოგვიანებით გახდა, რამაც განაპირობა მისადმი ეხოლენ დაგვიანებული გამოხმურება.

კრებულში განთავსებული ასი ლექსიდან ყველა პოეტის აღმზრდელ სოფელს, დიდ ჯიხაში, იქ მცხოვრებ მშრომელს, სიყვით სავსე ადამიანებს ეძღვნება და იმ დიდ სიბოლახს და სიყვარულს ამცნობს, რაც გასული საუკუნის 40-იანი და შემდგომი წლების რიგ შექცევებთან მიუხედავად, თანასოფელთა შორის სუფევდა.

კრებულის წაითხვის შემდეგ მითხველს რჩება შთაბეჭდილება, რომ სწორედ ასეთ გარემოში, სიყვარულსა და თანადგომას ძალუქს ადამიანს პოეტური სული შთაბეროს, რომ სწორედ ასეთ ურთიერთობაში იბადება და იქმნება ის, რასაც მშობლიური მიწა-წყლის, სამშობლოს სიყვარული ჰქვია.

გულის სიმეხსიერება მალამოდ ეფენება კრებულის პირველი ფურცლიდანვე ლექსის “ჯიხაში ჩემო ტკბილო სამშობლო” სოფლისადმი დიდი სიყვარულისა და სისხლის ფიცილის მატარებელი ყოველი სტრიქონი და სტროფი.

“არის სიხარული, არის სიყვარული, რომლის მსგავსი არსად მეგულებას... ეს სიყვარული ძილშიც მამღერებს, ტკბილო სოფელო ჩემო”.

“ეს წიგნი კრებულია მის მშვენიერ სოფელზე დაწერილი ლექსებისა... მისთვის სანუკვარი დიდებული, ლამაზი და თავმოყვარე მშრომელი ხალხით დასახლებული სოფელი დიდი ჯიხაში, სადაც აუტორმა სხვადასხვა პროფესიის, სოციალური წრისა და ხასიათის ადამიანთა შორის ბავშვობის, არცთუ ისე იოლი, წლები გაატარა”. – ბრძანებს ამავე სოფლის მკვიდრი ლიტერატორი ქალბატონი ციალა ხაჯალა-ანდრიაძე და დასტურად ერთერთი ლექსის ამონარიდი მოჰკავს.

“როგორ მინდა თქვენთან ერთად წყნარმა მზემ და ცამ დახედოს, მიეგზუტოთ თბილად მკერდთან ჩემი სოფლის ზამბახები”.

სოფლისაგან მოშორებით, თბილისში მცხოვრებ პოეტს მისადმი ნოსტალგია მუდმივად თან დაჰყვება. ნოსტალგია გზისპირა გვირგვინისადაც მისი ტყისა თუ ველმინდრებისადაც, რომლებიც მის ყოველ გამოჩენას სიხარულით “სიცოცხლისით” ეგებებიან, პასუხად ისიც მზადაა ყველა მათაგან ლექსებით მოეფეროს, იარები დაუპოოს, რადგან აქ “სხვანაირი ხიბლითა და რუდუნებით იციან ერთგულება”. ამიტომაცაა, რომ კრებულში განთავსებული ლექსების ყოველი სტრიქონი გაუღვინებია სოფლის ყველა კუთხე-კუნჭულისადმი უდიდესი პატივისცემით. აქ ხომ ყველაურაა

ლაფერი მის ბავშვობას, აქ გატარებულ უღარდელ წლებთან ერთად, მძიმე წარსულსაც ავონებს.

“ცაცხვის რტოებზე ჰკიდა ნისლი, ჩემი ბავშვობის კაბის ნახვევი”...

პოეტის ლექსებს, მშობლიური სოფლისადმი ჩაქსოვილ დიდ სიბოლახს გულისტკივილად გასდევს სამამულო ომში მამის დაღუპვითა და ახალგაზრდა, სამი პატარას ამარა დარჩენილ დედასთან დაკავშირებული გენგლილი ბავშვობის მწარე ხვედრი. როგორც თავად ბრძანებს: “ეს იყო ობლობა, ტანჯვა და ცრემლი” და



თუ გადარჩენ, ყველაფერს ურთიერთსიყვარულით, სისხლის ფიცილითა და სოფლის კეთილი ადამიანების თანადგომით ხსნის, რაც ძალზე მგრძობიარადა გადმოცემული ლექსთა სტრიქონებში, რომელსაც პოეტი დედას, დას – ნათელას და ნაადრევად “დაკარგულ” მძას, ჯემალს უძღვინს, რომელშიც, საჭიროების შემთხვევაში, მიუხედავად მცირე ასაკისა, მეომრის მამაკაცური სული იფეთქებდა.

დედა, რომელიც იმ გაუსადილს წლებში სხვა, მის ბედში მოფო ქალბატონებთან ერთად, “წყნელით ღობავდა ღობეს და ამარებდა უკაცო სოფელს”, დედა რომელსაც:

“ვკოცნი, ვხვებვი, თითქოს ბავშვი ვარ, ამ დაღლილ ხელთან მუდამ გულში ვარ”.

ამით ხომ მოვლედ, მაგრამ ყველაფერია ნათქვამი. ასევე შეუძლებელია სული ხორცამდე არ შეგძრას და წასაკითხად რამდენჯერმე არ მოუბრუნდეს პოეტურ სტრიქონებს:

“დაღონებულ დედის გულთან ფიქრი კრძალვით მიმიდის, პურის ნაცვლად დეგს ტბალაზე მჭადი ჰყინტი სიმინდის”.

ეს ის სტრიქონებია რომლის დედაზნის სრულყოფილად შეიძლება მხოლოდ იმ პირობებში შეიგრძნოს რომლებსაც ქ-

ლბატონ ზოიასა და მის და-ძმობა მსგავსად, ომის ავებდით დღეებში ჰყინტი სიმინდის მჭადი “დაუგემოვნება”, როცა ლუკმა-პურის გარეშე დარჩენილი ადამიანები იძულებულნი იყვნენ, სიმინდის უმწიფარი ტაროები სპეციალური სახეხით დაემუშავენინათ და ე. წ. ჩაბახებული სიმინდის მჭადი გამოეცხთო. პოეტი ასევე მტკივნეულად განიცდის, რომ მამის დარღულ ვაზს სიბერის ფაში დაუდგა.

“მთხარ, როგორ გიშველო დედის ნაალერსებო, ვაზო, მამის დარგულო”

სუხს, რადგან მათ გარეშე მამისეული ქსო-გარემო ვერ წარმოუდგენია.

დიდი ჯიხაში კულტურით, ზნეობითა და ერისათვის სასიქადულო, წარმოჩენილ ადამიანთა სიმრავლით საქართველოში ერთ-ერთი გამოჩენილი სოფელია. ასე იყო ოდიტგანვე, ასეა ამჟამადაც. ცხადია, პოეტი აღნიშნულისადმი გულგრილი ვერ დარჩებოდა. მართლაც, როგორ შეიძლება დიდი ჯიხაში პოეზიის ერთი საკუთხას არ ახსენო მადლიერება და პატივისცემა არ გამოხატო წმიდა ნაზარ ლეკუგას, დიდი ნიკოლაძის, გიორგი კაცხაძის, ირაკლი ანდრიაძის, ტრიფონ რუხაძის, პოლიკარპე მიქაძის, ვალერიანე ბიბილიაშვილის, თინა ჭილაძის და სხვათა მიმართ, რომელთაც სრულად მიესადაგება ნიკო ნიკოლაძისადმი მიძღვნილი ლექსის სტრიქონები:

“აქ ნატყვალა ნიკო ნიკოლაძის ვინც მამულზე ფიქრს გული შეაღია”. კრებულის გვირგვინია პოეტის გულბინ ამოხეთქილი ერთ-ერთი ბოლო ლექსის სტრიქონები:

“გუგუნებს გული და ხმაც გუგუნებს, ჩემი სუნთქვა ხარ შენ, ჯიხაში”.

კრებულში განთავსებული ლექსთა რამდენჯერმე წაითხვის შემდეგ მეც, გაგვიდნიერდა და გადავწყვიტე ქალბატონი ზოიას და მისი შემოქმედებისადმი დრმა პატივისცემა-მადლიერება ლექსით გამოემხატა:

“სოფელს უძღვენ ასი ლექსი, ასზე მეტი დაგაქვს გულით, მშობელ მიწას, მის სანახებს ეფენები სიყვარულით.

ვინატრებდ, შენებრ გრძნობის საქართველოს ბუერი ჰყავდეს, მხოლოდ ასე, წრფელი გულით მისი კუთხე რომ უყვარდეს. ჯიხაშიმაც იცის ფასი ღირსეული მისი შვილის, ამიტომაც მუდამ გვეხდება გულდა და ხელგაშლილი.”

გმადლობთ ქალბატონო ზოია, შენ ხომ საქართველოს პოეტთა შორის ერთადერთი გამინაკლისი ხარ, რომელმაც თავის სოფელს მთელი კრებული მიუძღვნა.

პატივისცემით ბონის ურცხვენაშვილი

ის კასი იყო...

კაცური კაცი, მშვიდი, მკრძალბეული, სუფთა სინდისითა და მხურვალე გულით ემსახურა მშობლიურ სოფელს, რაიონს, ქვეყანას, მერე კი, მერე მშვიდად დაფრთხა გულზე ხელი და მარადისობის ბინადარი გახდა. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ყოფილა ბატონი სამსონ კაშმაძე, როცა 1931 წელს ერთი წლის დაარსებულ ვაზეთ “სოციალისტურ შეტევაში” პირველი კორესპონდენცია მოათავსა.

მას შემდეგ, თითქმის შვიდი ათეული წლის მანძილზე, არ გაუწყვეტია კავშირი ვაზეთთან, ურთიერთობა მის შემოქმედებით ჯგუფთან.

სამშობლოს პირველსავე დამახილზე ჩადა იგი ქვეყნის დამცველთა რიგებში, მძიმედ დაჭრილი დაბრუნდა შინ და საოცარი რუდუნებით იღაწა სოფელ ბაშისა და ბაშელის საკეთილდღეოდ.

არამარტო ადგილობრივი, ცენტრალური განსუებიც ხშირად და სამიონებებით უთმობდნენ ადგილს ბატონი სამსონის ფელტონებს, სხარტულებს, პუბლიკაციებს.

ნახევარ საუკუნეზე მეტხანს იმუშავა მან ბაშის კულტურის სახლის დირექტორად, დიდა მისი წვლილი სოფელ ბაშისა და რაიონის კულტურულ ცხოვრებაში. ბატონი სამსონი აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სამამულო (მეორე მსოფლიო) ომის აქტიური მონაწილე და ვეტერანი, სასოფლო საბჭოს უცვლელი დეპუტატი ყველაფერს ცდილობდა ბაშელის სოციალური და საყოფაცხოვრებო პრობლემების გაუმჯობესებისათვის.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული ბატონი სამსონის თაონობით არაერთი მასშტაბური კულტურული ღონისძიება ჩატარებულა ბაშში, რომელთა მთავარი ინიციატორი და სულის ჩამდგმელი თავადვე იყო. დიდა ომგადახდილი ვაკაცის წვლილი შინიოუსვლელი ჯარისკაცის, მირიან ბაშელის შვილის ნაფუძარზე საბრძოლო დიდების მუხეუმის გახსნის საქმეში.

ბატონებთან ლაერენტი თვალავაძესთან, გიორგი ხაზარაძესთან და სოფლის სხვა ღირსეულ შევილებთან ერთად, ბატონმა სამსონმა სამარადისოდ დაიდა მეგლი თანასოფელთა ხსოვნაში.

ღრმად მოხუცმა ლექსების წიგნი გამოცა “სოფელი კაცის გულისთქმა”. მოურძალბეულად დასათავურა მოკრძალბულმა კაცმა წიგნი, რომლის გამოცემაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენმა სახელოვანმა მამულიშვილმა, საინჟინრო და ეროვნული აკადემიების წევრმა, გადამღარმა გენერალმა, ჩვენი ვაზეთის დიდა მეგობარმა და მოჭირახულემ, წარმოშობით ბაშელმა გიორგი ივანეს ძე ხაზარაძემ.

100 წელი სრულდება ჩვენი ვაზეთის პირველი შტატგარეშე კორესპონდენტის, ბატონი სამსონის დაბადებიდან. ვიმედოვნებთ, სოფელ ბაშის კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, სოფლის საზოგადოება მორძალბებითა და სითობით აღნიშნავს ამ თარიღს, ჩვენ კი, ჩვენ ამ ციქნა წერილით მოვიგონეთ თანასოფელთა სამსახურში, მოყვასის სიყვარულში პატრუქებით დაღწვარი ღირსეული კაცი. ნათელი არ მოკლებოდეს თქვენს სპეტაკ სულს, ბატონო სამსონ!

გილოსავით, ძვირფასო დედაბო!

ლევან გაბრიანი

კიდევ ერთი ცივი ზამთარი გავინაპირეთ. თებერვალიც მიილია და ზაფხული მობრძანდა ამწვანებულ-აბინებულ მთა-ველით, ანგარა წყაროებით, მოჩუჩხუხე ღელეებით, მოღუღუნე ნაკადულებით.

მიწა აფუკდა, სიცხოველე მოემატა მზეს. ნიშნდობლივია, რომ სწორედ ადრეან გაზაფხულზე, მარტის პირველ დღეებში აღინიშნება დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეები.

დედაც ხომ საწყისია: სიცოცხლის, სიყვარულის, სიმშვენიერის.

უხვადა გაჯერებული ქართული და უცხოური პოეზია დედისადმი მიძღვნილი გულისამაჩუყებელი სტრიქონებით.

“დედა ჩვენი პირველი სიტყვა, ამოკვნიესება უკანასკნელი” – ყველაფერია ნათქვამი პოეტის ამ სიტყვებით.

უდიდესი კრძალვითა და დიდი სიყვარულით, უსაზღვრო პატივით ვულოცავთ დედის დღეს ყველა ქართველ დედას, მათ, ვისთვისაც წმინდათა წმინდა ოჯახის სისპეტავე, ოჯახის სიმტკიცის, ერთიანობის ფენომენი, ვულოცავთ მათაც, ვინც ვერ ეზიარა დედობის მადლს, თუმცა დედურ, მშობლიურ მზრუნველობას უმურველად უნაწილებენ სხვათა შვილებს.

დედის დღის 3 მარტის მოახლოებასთან დაკავშირებით არ შეიძლება, არ გავისხინოთ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი, საქართველოს გულდამწვარი ჭირისუფალი და მხურვალე პატრიოტი ზვიად გამსახურდია, რომლის ინიციატივითაც დაწესდა საქართველოში სამი მარტის, დედის დღის აღნიშვნის ტრადიცია.

სახელმძღვანელო, მრავალშვილიანი, მამულის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე მიყურადებული დედები გვჭირდება დღევანდელ საქართველოში ერის სიმტკიცედ და ერის გადასარჩენად, გასაძლიერებლად.

“დედის დღე – გაზაფხულის ბრწყინვალე დღესასწაული მინდა მიეულოცო საქართველოში მცხოვრებ ყველა დედას ეროვნების, სარწმუნოების, პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, ოჯახური სიმყუდროვე, კეთილდღეობა და დღევანდელი მინდა უკუსურვო მათ”. – განუცხადა “სამტრედიის მაცნეს” მუნიციპალიტეტის საერებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ნუგზარ ჯამბურამ.

დედის დღეს გილოცავთ, ძვირფასო დედებო!

რკინიგზელი ქალბატონები!

არაერთი სახელოვანი რკინიგზელი ქალი ამშვენებს ჩვენი ფოლადის მაგისტრალის მრავალ ათასიან კოლექტივს. მათ გარეგნული წვლილი შეაქვთ რკინიგზის ტრანსპორტის შეუფერხებელ მუშაობაში. დღეს არ მოიძებნება სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი, სადაც ქალს თავისი წვლილი არ შეჰქონდეს.

ასეთ ქალთა რიცხვს მიეკუთვნება სამტრედიის რკინიგზის სივნილიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების დისტანციის მთავარი ბუღალტერი ქალბატონი რიტა თადუმაძე. საგულისხმოა, რომ რიტა ერთ-ერთი ყველაზე დიდსტაჟიანია, ის 28 წელზე მეტია, დისტანციის მთავარ ბუღალტრად მუშაობს. ის შესანიშნავად ერეგვა დისტანციის მუშაობის საკითხებში. დისტანცია დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი საწარმოა, სადაც 200-ზე მეტი ადამიანი დასაქმებული. ისინი მტკიცედ ემსახურებიან მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობას. ქალბატონმა რიტამ კარგად იცის მისი საწარმოს ყველა წვრილმანი და საქმეს ჩინებულად უძღვება. დისტანციაში მას თვალსაჩინო მუშაეს უწოდებენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია დისტანციაში მომუშავეთათვის რიტა თადუმაძის გულთბილი დამოუკიდებულება, გულისხმიერება თითოეული მუშაისადმი და კეთილი მეგობრობა.

კოლექტივი, სადაც ქალბატონი რიტა მრავალი წელია საქმიანობს მისთვის მერვე ოჯახია, მშვენიერი ქალბატონი მაქსიმალური ყურადღებით ეკიდება ნებისმიერ საქმეს, მით უმეტეს, რომ პასუხისმგებლობაც დიდა წარმოების მთავარი ბუღალტერი.

ქალბატონ რიტას ქალიშვილი მარიამ ტაბიძე სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტია. მეუღლე “ალტკომ”-ში მუშაობს მექანიკოსად.

არ შეიძლება, ქალბატონ რიტასთან ერთად არ დავასახელოთ რკინიგზის დასავლეთ რეგიონის საწარმოების: სალომონოტივი, საგაგონო, სალიანდაგო, ელექტროფიკაციის, კავშირგაბმულობის, სელექტორული და ტექნოლოგიური კავშირის, ელექტროსამონტაჟო და სადგურ “სამტრედიის” საწარმოებში მომუშავე ქალბატონები: ხათუნა ხონელიძე, ნინო ჩალივაგა, გიული ცაგურია, ნინო მიქაძე, თინათინ მგელაძე, ლამარა ქალღანი, ნინო ყუბანეიშვილი, ლიანა კვიციანიშვილი, მადონა ლეჟავა, მზია სულაქველიძე, ნინო ამაღლობელი, ნარეიზა ტონია, ნატო სიგუა, მანანა ნადირაძე, მაია ბაკურაძე, მედეა გეგია, ციცინო კაკულია, სოფიო კვიციანიშვილი, ირმა ჩხვიკაძე, ნანი ანდრეიანი, მანანა გეგეშიძე, ციცინო ლაღაძე, ქეთევან შილაკაძე, მანანა ნადირაძე, ევლინა დარსაველიძე, ირმა პროკოპენკო, ნინო სესოაშვილი, ლალი კოპალეიშვილი, ნანო გეგეჭკორი, ლუბა სეძინელი, ნადეჟდა სუთიძე და სხვები.

ვულოცავთ მათ დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეს, ვუსურვებთ ხანგრძლივ ცხოვრებას, ბედნიერებას და სიყვარულს!

ლევან გაბრიანი

ქალთა დღესასწაულებს გილოცავთ, ღირსეულო ქალბატონებო!

ნათელა გალიაშვილი

მწვანედ ბიბინებს მინდორი, აყვავდა ია, ენძელა, კოლორიტი ხართ ქალაქის სამტრედიელთა დედა ტერეზა.



ქეთევან ზანცულაია

ყველა დედის იმედი ხართ, თავად ღირსეულო დედაც, სადიდებელსა და ხოტბას კვლავაც ბევრჯერ გაგიბედავთ.



ნინო ტონია

რაოდენი კრძალვა, რაოდენი სიბრძნე, წიგნიერებას ასე სცოდნია, ემაწვილებსთვის რომ იხარჯებით, გვეამაყვებით ნინო ტონია.



კატინისკვილი ლევან გაბრიანი

გამორჩენილი ადამიანები ქალბატონების შესახებ

საჭიროა ყველა დედა იყოს განათლებული, განვითარებული, რათა შინ, ოჯახში და გარეთ, საზოგადოებაში სთესდეს თესლს კეთილსა, დაღ, ესმოდეს დედაცაც, შეილი როგორ აღზარდოს შინ, ოჯახში და გარეთ, საზოგადოებაში, რა აზრები გაავრცელოს, რას ემსახუროს, ვინაიდან მას შეუძლია დაამხოს ერი და კიდევ ალაღვიოს.

გაფა-ფშაველა
თუ ქალები მალაღ საფეხურზე დგანან ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში, მაშინ იმ ხალხსაც დარი უდგას და, თუ დაბლად არიან, ხალხის ცხოვრებაც იცრება და ეს უეჭველად ასეც უნდა იყოს, რადგან ქალია ბურჯი და ქვეყნისუფალი, როგორც კერძო ოჯახის, ისე საზოგადოების, ე. ი. მთელი მისი ქვეყნის, მისი სამშობლოს.

ნეტავ იმ ერს, რომელსაც კარგი ქალები ჰყავს.

აკაკი წერეთელი
ბავშვების დედა არის ოჯახის დედა, მაგრამ ოჯახის დედები იმავე დროს არიან ერის დედებიც.

მ. ნალბანდიანი
ქალიშვილის აღზრდა იგივეა, რაც საზოგადოების აღზრდა, რადგან საზოგადოება გამომდინარეობს ოჯახიდან, რომლის სული ქალია.

ე. მიშლე
მოგვეცით უკეთესი დედები და ჩვენც უკეთესი ადამიანები ვიქნებით.

ჟან პოლი
არის ხოლმე საგნები, რომელთაც ქალის თვალი ყოველთვის უფრო სწრაფად ჩასწვდება, ვიდრე მამაკაცთა ასი თვალი.

გ. ლესინგი
ქალების სიყვარულს ჩვენთვის უდიდესი, უბადლო მნიშვნელობა აქვს, ის ემსგავსება მარილს სახელისათვის, მსჭვალავს რა გულს, იცავს მას გახრწნისაგან.

ე. პიუგო
დედაცაა მუდამ დარჩება მამაკაცისათვის ბურჯად უბედურებაში და კეთილ მრჩეველად სიმწველებში. ბედნიერებაში და ვარაშში დედაცაა ივლის მამაკაცთან ხელიხელჩაკიდებული და იქნება მისი ერთგული თანამგზავრი მთელი სიცოცხლის მანძილზე.

რ. თაგორი



შპს-ისა ლევან გაბრიანი

პოეტი



ალექსანდრე შანიძე სამტრედიის მკვიდრი გახლავთ, სოფელ ზემო ნოღადან. 1932 წელს ნოღელმა ახალგაზრდამ წარმატებით დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ლექსების წერა ადრეიდანვე დაიწყო.

პირველი კრებული “ლექსები” 1928 წელს გამოსცა.

“სიყვარულმა მათქმევინა”, “გულისნაღები”, “რაც მინატრია”, “სახატე მზის და მთვარისა”, “არდავიწყება” და სხვა მრავალი ალექსანდრე შანიძის პოეტური კრებულებია.

ის ფაქტი, რომ პოეტის ლექსები, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და ბელორუსულ ენებზეა თარგმნილი თავისთავად ბევრის მოქმედია.

არავინ შემოგვედგება თუ ვიტყვი, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლები და შემდგომი პერიოდი სამტრედიისათვის ბევრი რამით, მათ შორის კულტურული ცხოვრების აღმავლობითაც იყო გამორჩეული.

საქვეყნოდ აღიარებულ მწერლებს, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებს ხშირად უწყობდნენ შეხვედრებს სამტრედიისაში.

ბატონი ალექსანდრე შანიძისთვისაც არაერთხელ მოუწევიათ თბილი შეხვედრები პოეზიის სამტრედიელ მოყვარულებს, რითაც უზომოდ აღფრთოვანებულა პოეტი, რომელსაც წუთითაც არ უცხოვრია ნოღელთა, სამტრედიელთა სიხარულისა და ტკივილის გარეშე.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ პოეტის ლექსი, “ჩემო ტკბილო მეგობარო” სასიძღვროდ გაიხდა ქართველმა ერმა და იგი ყველა დროის ჰიტად რჩება.

110 წლისა ხდება წელს ჩვენი თანამემამულე პოეტი.

ვიმედოვნებთ, სოფელ ნოღაში მოკრძალებულად აღინიშნება იუბილე.

ლევან გაბრიანი

“სამტრედიის მაცნეს” რედაქცია თანაუგრძნობს ტელეკომპანია “რუსთავი-2”-ის უენრნალისტს, მათა ასათიანს და ტელეკომპანია “იმედის” საინფორმაციო გამომშვების რეჟისორს, ირაკლი მანვილაძეს შვილის, ნუცა მანვილაძის გარდაცვალების გამო. ვუერთდებით იმ საყოველთაო მწუხარებას, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა ამ ტრაგიკული ამბის გამო გამოხატავს.



“საუნჯე”

გალაკტიონი თამაზობს ჭადრაკს

გალაკტიონ ტაბიძისადმი ხალხის განუზომელი სიყვარულის ერთ ეპიზოდს გაეხსენებთ რუბრიკაში “საუნჯე”.
1958 წლის მარტში ქალაქ რუსთავის ახალგაზრდობამ და ქალაქის ლიტერატურულმა გაერთიანებამ შეხვედრა მოუწვევეს ქართველ პოეტთა მეფეს, გალაკტიონ ტაბიძეს, რამაც უზომოდ გაახარა და აღფრთოვანა იგი.
მეტალურგთა კულტურის სახლი ხალხით იყო გაჭვდილი, მთელი რუსთავი მოაწყდა აქ.
ყველა კარი გააღეს და დარბაზში გარეთ დარჩენილები ფოიედან უსმენდნენ პოეტს, რომელმაც სამი ლექსი წაიკითხა: “ყველაფერი შეიძლება მოხდეს”, “ახალგაზრდობას”, “ეგ არის და გორის ციხე”.
ლიტერატურული სადამოს დამთავრების შემდეგ მეტალურგიული ქარხნის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა სთხოვა გალაკტიონს, ჭადრაკი ეთამაშათ. გალაკტიონი ჭადრაკს თამაშობსო და ყველა ახლა იმ ოთახს მოაწყდა.



გალაკტიონმა პირველი პარტია წააგო. მეორე პარტია კი შეკრებილთა და თვით მეტოქის სასიხარულოდ მოიგო.
მიერობატი ფრედ 1 : 1 დამთავრდა.
“შე თავად არ გახლავართ კარგი მოთამაშე, მაგრამ ჩანს, პოეტი ჭადრაკს სუსტად თამაშობდა, ჭადრაკის კომპლექტი, რომლითაც სიტყვის ჯადოქარს ვეთამაშე, როგორც ძვირფასი რელიკვია ჩემთან ინახება”. – ითინებდა შემდეგ გ. თხელიძე.
ეს გალაკტიონის უკანასკნელი შეხვედრა იყო რუსთაველებთან.
ზუსტად ერთი წლის შემდეგ პოეტი გარდაიცვალა და...
ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა!
პუბლიცია, რომლის ავტორი გივი მინაბაძეა, ფოტო ეკუთვნის დ. ცხორებამძეს, 40 წლის წინ, საქართველოს ერთ-ერთ პოპულარულ ჟურნალში გამოქვეყნებული.
ლევან ბაგრაძე

ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რაიონული კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე
შოთა ზოზიანი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

შუაშრა ჩინჯაძის ხსოვნას!
ყველასათვის საყვარელ შუაშრა ექიმს, ღირსეულს და დიდებულ ქალბატონს გარდაცვალებიდან პირველ დაბადების დღეს – 28 თებერვალს ვულოცავთ ჩინჯაძეებისა და ჯოგლიძეების გვარის უახლოესები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული!

ამბავნარი

მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი ფეხბურთში ურუგვაიში ჩატარდა 1930 წელს, ჩემპიონი გახდა ურუგვაის გუნდი.

“ფიფას” დამფუძნებელი კონგრესი გაიმართა 1904 წლის 21 მაისს, პარიზში. პირველად მასში მხოლოდ ხუთი ქვეყანა: საფრანგეთი, ბელგია, პოლანდია, დანია, შეიქმნა მონაწილეობდნენ.
ფეხბურთის სამშობლო ინგლისი “ფიფას” წევრი მხოლოდ 1906 წელს გახდა.

ყველაზე დიდი საფეხბურთო ტრადიცია ინგლისს აქვს. ინგლისში ჯერ კიდევ 1863 წელს შეიქმნა მსოფლიოში პირველი საფეხბურთო ორგანიზაცია.

1966 წლის 20 მარტს ლონდონის ვესტმინსტერის სასახლიდან, ზედ ინგლისის პარლამენტის ცხვირწინ, დღისით, მზისით მოიპარეს უმაღლესი საფეხბურთო პრიზი – “ჭიულ რიმეს” ოქროს თასი.

არგენტინაში ფეხბურთის ასოციაცია დაარსდა 1893 წელს. არგენტინა “ფიფას” წევრი გახდა 1912 წელს, რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატებს, ისინი არგენტინაში 1893 წლიდან ტარდება.

ფეხბურთელი სპეციალისტი უნდა იყოს ყოველ დარგში, მას ყველაფერი უნდა შეეძლოს – ამბობენ “ტულუზის” კლუბის ფეხბურთელები და თავიანთ სიტყვას საქმით ამტკიცებენ.
“ტულუზის” მოთამაშეები ყოველ სამშაბათს წერდნენ ინფორმაციებს განვლილი კვირის მატჩების შესახებ. ამ დღეს ფეხბურთელებს ყველაფერი ისე აქვთ დაგეგმილი, როგორც ნამდვილ რედაქციაში: ისინი ასწორებენ ხელნაწერებს, ამზადებენ მასალას დასაბეჭდად, მიაქვთ იგი რედაქციის პასუხისმგებელ პირებთან, აკეთებენ კორექტურას და სახლში მიდიან მას შემდეგ, რაც წაიკითხავენ ახალი გაზეთის პირველ ნომრებს.
ფრანგები ამ გაზეთის დიდი ინტერესით კითხულობდნენ, რადგან მასში სხვადასხვა ცნობების გარდა იბეჭდებოდა “საფეხბურთო ჭორები”, რომლებიც ქვეყნდებოდა უშუალოდ პირველი წყაროებიდან.


1912-1913 წლების ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატში წარმატებით თამაშობდა კლუბი “გრინოუ მარტონი”. სეზონის დასასრულს გამოირკვა, რომ მოწინააღმდეგეთა კლუბში ბურთი გაუტანია ყველა წევრს, გარდა მეკარისა.
გათამაშების უკანასკნელ მატჩში “გრინოუ მარტონის” სასარგებლოდ დანიშნულ იქნა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო, რომლის შესრულების უფლება მისცეს გუნდის მეკარეს.
გოლი გატანილი იქნა.

შუაშრა ჩინჯაძის ხსოვნას!



ბაობაბი – “მაიმუნების პური”

ბაობაბი გავრცელებულია აფრიკასა და ინდოეთში. ის იზრდება 25 მეტრამდე და შეუძლია იცოცხლოს რამდენიმე ათასი წელი. მცენარე წვიმიან დღეებში საკუთარ ტანში ინახავს წყალს და მომდევნო მშრალი თვეების მანძილზე ამ წყლის მარაგით საზრდოობს. ბაობაბის ქერქი, ფოთლები, ნაყოფი ყველაფერი გამოსადეგია. მის მერქანს ქსოვილებისა და თოკების დასამზადებლად იყენებენ, ფოთლებს – წამლებისთვის, ხოლო ნაყოფს სიამოვნებით შეექცევიან მაიმუნები, ამიტომ მას “მაიმუნების პურსაც” უწოდებენ. ასევე აღსანიშნავია, რომ აფრიკაში, ხის ტანში ადამიანებიც იდებენ ბინას.
ბაობაბი წელიწადში 9 თვეს უფოთლოდ ატარებს. ამ პერიოდში მისი ტოტები უფრო ფესვებს მოგვაკონებენ. ამიტომ ხესთან დაკავშირებით სხვადასხვა მითი და თქმულება არსებობს. მაგალითად არაბული ლეგენდა გვიამბობს, რომ თითქოს, ბაობაბი პირველი ხე იყო, რომელიც დედამიწაზე აღმოცენდა. შემდეგ მას მოჰყვნენ ლამაზი, მაღალი და ელეგანტური სხვა ხეები. როდესაც ბაობაბმა დაინახა მაღალი ხე, ტირილი დაიწყო, რადგან თვითონაც უნდოდა მასავით მოხდენილი ყოფილიყო. ხოლო როდესაც ლამაზი, წითელ ნაყოფიან ხეს მოჰკრა თვალი, საშინლად შემურდა, ლოცვა დაიწყო, რომ მას ჰქონოდა ეს ყველაფერი და არა სხვა ხეს. ღმერთი ძალიან გააბრაზა ბაობაბის ბოროტმა სურვილებმა და დასაჯა იგი. უკუღმა ჩარგო, ტოტები მიწაში, ხოლო ფესვები – პირიქით, ზემოთ დაუტოვა, რათა მისი გაუთავებელი უკმაყოფილება და წუწუნები აღარ მოეხმინა საკუთარი გარეგნობის გამო.



ლევან ბაგრაძე

ბატონ კახი კალაძეს!

ღირსეულ ქართველს, აღიარებულ სპორტსმენს, ვიცე-პრემიერს, ჩვენს სასიყვარულო თანაქალაქელს, კახი კალაძეს დაბადების დღეს ვულოცავთ და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ! ღმერთმა დაგლოცოთ და გააძლიეროთ!

“სამტრედიის მაცნე”



ვულოცავთ!

ჭეშმარიტ ქართველს, ღირსეულ თანამემამულეს და შემოქმედს, ცნობილ ბიბლიოთეკამცოდნეს, მწერალს და ჟურნალისტს ქალბატონ **ზულნარა სურუასს!**

გულწრფელად ვილოცავთ საიუბილეო თარიღს, დაბადებიდან 80 წელს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და მხნეობას, ახალ შემოქმედებით წარმატებებს თქვენს მამულიშვილურ და კეთილშობილურ საქმეში.

კახიძისგვითი ნათესა და კახ ტარაშაძისი

ჩვენო კა!

დაბადების დღეს ვილოცავთ, ჩვენო ერთგულო კოლეგავ! ლამაზი ოჯახის დიასახლისობა, საუკეთესო დედობა და მზრუნველი მეუღლეობა კიდევ მრავალ წელს გაგეწიოს. გაზაფხულის ლამაზი ფერები შეგეფერებინოს, მრავალი წელი ჩამოემარცვლოს შენი ცხოვრების კრიალოსანს, იჯანმრთელო და იძრავალკამიერე!

“სამტრედიის მაცნე”



ყველა ქალბატონს ვულოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს, 8 მარტის დღესასწაულს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ხანგრძლივ სიცოცხლეს. უფალი იყოს თქვენი მფარველი!

ნაძიგის ვახუშტისი კავშირი



ალიო განაძას!

ვულოცავთ დაბადების დღეს, 87 წლის შესრულებას. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ხანგრძლივ ცხოვრებას.

უფალი ფარავდეს!

ნაძიგის ვახუშტისი კავშირი

კახი გაფრინას!

დაბადების დღეს ვილოცავთ, ჩვენო კახი იხარე და იღლეგრძელო. ღმერთი იყოს შენი შემწე და მფარველი.

მელა ბაქანი



ჩვენო ჯუბილი!

ჩვენი რედაქციის კელეხში შენმა ბავშვობამაც გაინაგარდა, უკვე დავაჟაკებულს დაბადების დღეს ვილოცავთ შენი დედის თანამშრომლები, ვისთვისაც შენი ყოველი წარმატება სასიხარულოა და საამაყო! მრავალი ბედნიერი იუბილე მოგველოცოს, იხარე, იჯანმრთელო. ცხოვრების სავალი გზები ვაჟაკური თავდაჯერებითა და ქრისტიანული სიყვარულით გადავალახოს, შენს წარმატებებზე ბევრი გვეწეროს!

“სამტრედიის მაცნე”



TRUMP



ვიტანჯები, სამტრედიის ნოსტალგია მკლავს, საცნობო რეჟიმის მოხსნა უნდა ვთხოვო ტრამპს.

სამარხპო კერძი

ლობიო კოჩხი

მასალა:

- 1 კილოგრამი ლობიო
- 3 ცალი ხახვი
- თითო კონა მწვანელი
- 3 ცალი კომში

მარილი და პილპილი გემოვნებით

ლობიო გარჩიეთ და გარეცხეთ. ქვაბში ჩაყარეთ და ორჯერ მეტი ადუღებული წყალი დაასხით. თუ დაიშრო, კიდევ დაამატეთ. მოხარშვის შემდეგ ამოღეთ, დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, მწვანელი, ოხრახუში, ქინძი, ნიახური, აგრეთვე დაჭრილი კანგაცილი კომშის ნაჭრები. როცა კომში კარგად ჩაიხარშება, კიდევ ამოღეთ. დაამატეთ მარილი, პილპილი გემოვნებით. მიირთვით გემრიელად.



რაქაქიის მისამართი:

სამტრედიის, რისპუბლიკის ქ. №6

ტელ: 790 391839



დირექტორი **ბექან გოზია**

მთავარი რედაქტორი **ქეთევან ჭაქალიძე**

გამომცემი რედაქტორი **თეა ბაბუნაშვილი**

პასუხისმგებელი მდივანი **ლევან ბაბუნაშვილი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **მამა პაპაძე**